



# ახალი განათლება

08-14.10.2020

№29 (903) განმდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge



## 2

ირაკლი თავაძე

როცა სახელმწიფო სკოტის ერთდართ უმაღლეს სასწავლებლს ვერ უვლის

## 4

ბაკა ყიფიანი

სკოლის უპირატესი მოვალეობა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაა

## 5

ნატალი აბესაძე

თუ ბავშვს ჩვენი ცხოვრებით და საქმიანობით ვუბანურ ანარქიკლს ვარვენებთ, ეს იქნება შთაბეჭდავად შესანიშნავი

„სმინად ვამბობ, დედა-შვილობის ახ იყოს, მასწავლებელსაც აქვს ორი თვარი და გული. ეხთი თვარით ცოტნა უნდა მისცეს მოსწავლეს და ეხთი გულით სიყვარული. თუ ასე ახ იქნება შეზავებული, მაშინ ყველაფერი ჩამნახდებათ ბავშვებს. ამიტომ, გისუხვებთ ყველა მასწავლებელს ამ ორ თვარს და გულს და სიყვარულით ჩატახებულ ყოველ გაყვეთილს, ჩემი სკოლისთვის ეი ვისუხვებ ახად შენობას. იმედი მაქვს, ხომ ოდესმე ეს ოცნებაც აგვიხდება.“

სოფიო ბობოხია

2020 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მფლობელი, ჩხოხონყეს აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ჯხთული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

შატერში 20 ბავშვზე  
გათვრილი სკოლა-პანსიონის  
მშენებლობა სხუდდება



საქართველო

# მდგომარეობის მდგომარეობი როსა სახელმწიფო სპორტის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელს ვერ უვლის

ირაკლი თავაძე

„1959 წლიდან ამ სასწავლებელში ვარ, რამდენიმე დღეში სასწავლო პროცესი გვეწყება, მაგრამ ჯერაც არ ვიცი, სად დავიწყებთ მას“ – ეს შეამოწმებელი სიტყვები, 11 სექტემბერს გამართულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიისა, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, ჯამალ ქაბანიამ წარმოთქვა და ხელისუფლებისგან დახმარება ითხოვა. ეს მრავალტანჯული უნივერსიტეტი ამ პროფილის ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია ქვეყანაში, რომელიც უნდა ზრუნავდეს სამოყვარულო თუ მაღალი მიღწევების სპორტის მეცნიერულად განვითარებაზე და ყველაფერ იმაზე, რაც სპორტს უკავშირდება – მენეჯმენტი, სპორტული მედიცინა, მწვრთნელები, სპორტის მასწავლებლები, ახალი თაობისა თუ, ზოგადად, საზოგადოების ყველა ფენის სწორი ფიზიკური აღზრდა და სხვა. წესით, ასეთ ინსტიტუტს ხელის გულზე უნდა ვაბარებდეთ, მაგრამ ამას ვინ დაეძვას, უმაღლესი სპორტული განათლების ეს ერთადერთი კერა მართლაც საკუთარი ჯიბის გარეშე და რჩენილი – საკუთარი ბაზა არ გააჩნია და სასწავლებლიდან სასწავლებელში მოგზაურობს. ვაკეში მდებარე ძველი შენობა ავარიულია, საკუთარი შენობის აშენებას კი ჰპირდებიან და ამგვარად, რომ მისთვის გიუჯობი თანხაც გათვალისწინებულია, მაგრამ წელს სხვათა იმედად არიან. მორიგ ნავსაყუდელად სოხუმის უნივერსიტეტი შეიქმნა, სადაც მათთვის რამონტი ტარდება, და ბათონი ჯამალი ხუმრობს, მდგომარეობის მდგომარეობი ვიქნებითო. თუმცა, საქმი სახეობა რომ არაა, კარგად ესმის და მასთან ინტერვიუს რომ წაიკითხავთ, თავადაც დარწმუნდებით.



– რა მდგომარეობაა უნივერსიტეტის შენობასთან დაკავშირებით, აგრძელებთ სწავლას ძველ მისამართზე?

– კატასტროფული მდგომარეობაა. ფაქტობრივად, შენობის გარეშე ვართ დარჩენილები, არსად არ გვიშვებენ. ახლა ერთადერთი გამოსავალი ის მონახეს, რომ სოხუმის უნივერსიტეტში არემონტებენ ერთ სართულს, მერე, ალბათ, მეორესაც დაგვიმატებენ და იქ უნდა გადავიყვანო. სოხუმელები თვითონ მდგმურები არიან და ჩვენ მდგმურების მდგმურები გამოვიდვართ, სანამ ახალ კორპუსს აგვიშენებენ.

– სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში მაინც თუ განახლებთ?

– კი, 28 სექტემბერს ჩვენც დავიწყეთ დისტანციურად სასწავლო პროცესი. კვირაში ორი დღე აკადემიური მეცადინეობა გვექნება სპორტულ ბაზებზე, სამი დღე კი – თეორიული მეცადინეობა დისტანციურად. პრაქტიკული მეცადინეობები მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში ჩვენსავე სპორტულ ბაზებზე ჩატარდება – მანდ გვიშვებენ, პრობლემა არ არის. ეს დარბაზები ჩვენი საკუთრებაა. სულ ოთხი დარბაზი გვაქვს – ფრენბურთის, კალათბურთის და ორი ტანვარჯიშის. ისინი მიშენებულია ცენტრალურ კორპუსს, რომელიც ავარიულია და სწორედ ისაა პრობლემური. გვაქვს ჭიდაობის დარბაზი, სადაც ლეიბებია დაგებული, ტირი, ჩოგბურთის ოთხი კორტი, სტადიონი და მინი-ფეხბურთის მოედანი. ასევე, გვაქვს სპორტის სახეობების სხვადასხვა სპეციალიზაციები და, ხუთშაბათ-პარასკევს, სწორედ ამ ბაზებზე გვექნება პრაქტიკული მეცადინეობები. როგორც გითხარით, დანარჩენი სამი დღე თეორიულ მეცადინეობებს დაეთმობა, ოღონდ – ონლაინ-რეჟიმში, ვიდრე ნებას დაგვრთავენ, რომ პირისპირ ვესაუბროთ სტუდენტებს.

– რამდენადაც ვიცი, ეს შენობა განსაკუთრებით მას შემდეგ შეილახა, რაც წინა ხელისუფლებამ გააუქმა თქვენი უნივერსიტეტის წინამორბედი სპორტის აკადემია და შენობა დაცალეს...

– მართლაც მაშინ დაზიანდა განსაკუთრებით. ჩვენ 2007 წელს გამოგვასახლეს და მას შემდეგ, საძირკველში წყალი მიუშვეს, შენობის დანგრევა უნდოდათ. მაშინაც ამ აზრზე ვიყავი და ახლაც ასე ვფიქრობ – ადგილი უნდათ, ეს ტერიტორია

ანტერესებთ, რადგან მიმზიდველი სამშენებლო ადგილია. წარმოიდგინეთ – ვაკე, ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი. როცა ეს უნივერსიტეტი ააშენეს – 1954 წელს, მაშინ ქალაქის გარეუბანი იყო. მისი მშენებლობა 1950 წელს დაიწყო და 1954-ში დაასრულეს, მე კი 1959 წლიდან ვარ – 5 წლის შესული იყო ექსპლუატაციაში. მისი აშენებიდან 66 წელიწადია გასული და კაციშვილს არ მოსვლია აზრად, რომ კაპიტალურად გაერემონტებინათ, მხოლოდ კოსმეტიკურ რემონტს თუ ჩაუტარებდნენ, ლამაზად რომ ყოფილიყო შედგობილი. ვინ იცის, ამ 66 წლის განმავლობაში რამდენი მიწისძვრა იყო, რამდენჯერ შეირყა შენობა. ამას მშენებლობებიც ემატება – ჩვენ წინ უკვე სამი სახლია აშენებული, სამშენებლო სამუშაოები კი არ ყვეს შენობას. ახლა ისეთი მდგომარეობაა, მეოთხე სართულზე ვერც ახვალ. ცენტრალური კორპუსი შედარებით უფრო მყარად დგას, მაგრამ კიბეებია ცუდ დღეში – ისინი ცალფა აგურითაა მოშენებული და მართლაც არ შეიძლება აუდიტორიებში შესვლა.

– და მაშინ წინა წლებში როგორ გაძლევდნენ იქ მუშაობის უფლებას?

– წინააღმდეგობები მაშინაც იყო. 2018 წელს მე თვითონ მოვიყვანე ექსპერტები სამხარაულის ბიუროდან, რათა საბუთი მქონოდა, თუ რის საფუძველზე ვითხოვდი ახალ შენობას. მათ დაასკვნეს, რომ შენობა ნამდვილად ავარიულია და სასწრაფოდ ესაჭიროება გამაგრება. ბიუჯეტში უკვე დევს ახალი უნივერსიტეტის ასაშენებლად საჭირო თანხა – 8 მილიონია გათვლილი, გამაგრებას კი 2 მილიონამდე დასჭირდება. მე მიმანინა, რომ ეს შენობა უნდა გაარემონტონ.

– ახალი შენობა არ გირჩევნიათ?

– მის აშენებას გვირდებიან დილმის მასივში, ამერიკის საელჩოს მიმდებარედ, უკანა მხარეს – ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის აშენებული „ოლიმპიური პარკის“ ტერიტორიაზე. ოღონდ იქ მართო კორპუსს გვიშენებენ და გვირდებიან, რომ იქ რაც ბაზებია, თქვენი იქნებაო. როგორ იქნება ჩვენი, როცა ის ბაზები უკვე სხვებს აქვთ განაწილებული?

გემახსოვრებათ, 2015 წელს, ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი რომ ჩავატარეთ, მისი

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო ალექსი ახვლედიანი. იმ ფესტივალისთვის 280 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი და ამ კაცმა ყველაფერი იღონა და გააკეთა მძლეოსნობისა და ფეხბურთის კომბინირებული მოედანი. საქართველოში მძლეოსნობის ბილიკები აღარ გვაქვს, მკვდარია მძლეოსნობა, მაგრამ გავიდა ცოტა დრო და ის მძლეოსნობის მოედანი ვილაცამ წაიღო, მძლეოსნებს კი, მგონი შიგნით არც უშვებენ.

ამ ბაზებთან დაკავშირებით ერთი გამოსავალი ვნახეთ: 49-წლიანი იჯარით ჩვენი საფეხბურთო მოედანი ფეხბურთის ფედერაციას გადავეცით, სადაც ახლა გამაღებული სარემონტო სამუშაოებია. მათ ხელშეკრულებაში ჩაუწერეთ, რომ უნდა გააკეთონ მძლეოსნური ბილიკები, სახტომი და ბირთვის კერის სექტორი. სახტომ სექტორში იქნება სიმაღლეზე, სიგრძეზე, ჭოკით და სამმაგი ხტომები. ამ ეტაპზე, შუბის კერა, უროს ტყორცნა და სხვა დისციპლინები არ გვექნება. გვინდოდა, 4 სარბენი ბილიკი ყოფილიყო, მაგრამ ტრიბუნა დადგეს და 3 ბილიკი გამოვიდა. თუმცა, სავარჯიშოდ ერთიც საკმარისია და სასწავლო პროცესისთვის თავისუფლად გვყოფნის. მით უფრო, სუფთა წრე 400 მეტრი იქნება. ვიდრე ჩვენსას აგვიშენებენ ან თუნდაც სოხუმის უნივერსიტეტში როცა გადავალთ, პრაქტიკულ მეცადინეობებს მაინც აქ ჩავატარებთ, ვაკეში, ახლანდელი უნივერსიტეტის ბაზებზე, რადგან სოხუმის უნივერსიტეტში მხოლოდ აუდიტორიები გვექნება ორ სართულზე და არა ბაზები, აუდიტორიებში კი პრაქტიკულ მეცადინეობებს ვერ ჩავატარებთ.

სამწუხაროდ, ვერ გავაგებინე ვერავის, რომ ეს სპეციალიზირებული უმაღლესი სპორტული სასწავლებელია, რომელსაც ისევე სჭირდება სპორტული ბაზები, როგორც, მაგალითად, კონსერვატორიას სჭირდება როიალი, ვიოლინო, სამხატვრო აკადემიას – საღებავები, ტილო, ფუნჯები და სხვა. კომუნისტების დროს, ერთი სტუდენტის მომზადება ყველაზე ძვირი სამხატვრო აკადემიაში ჯდებოდა – 5 ათასი მანეთი. მაშინ ფულს სტუდენტები არ იხდიდნენ, მაგრამ სახელმწიფოს ამდენი უჯდებოდა მათი მომზადება, მეორე ადგილზე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ – 4950 მანეთი, ანუ 50 მანეთით ნაკლები. ადრე, ხელოვნების და სპორტის უმაღლესი სასწავლებლების შეკრებაზე, რომელსაც კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის, თეატრისა და ამ სფეროს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, კონსერვატორიის რექტორმა თქვა, ჩვენი ინვენტარი ძალიან ძვირი ღირს, მაგალითად, როიალს 50-60 ათასი დოლარი უნდაო. კი, გეთანხმებით, ვუთხარი მე, მაგრამ ის როიალი 50 წელიც კი გემსახურებდა და დაუკრავს, მაგრამ მე ბურთს რომ ვყიდულობ, რომელიც, ვთქვათ, 50 დოლარი ღირს და ასეთი, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, წელიწადში, 500-1000 ცალი მინდა, აბა, გადაიანგარიშეთ, რომელია უფრო ძვირი. ამასთანავე, შეიძლება, ბურთში დღეს 100 დოლარი მივცე და ხვალ გაფუჭდეს. თან აქ მხოლოდ ფეხბურთის ბურთებზე არაა საუბარი – ყველა სახეობას თავისი ინვენტარი უნდა და აბა, მითხარით, რა ღირს მოთხილამურეების, ველოსიპედისტების თუ სხვათა ეკვიპირება?! მაინც ვერ გავაგებინე ეს ვერავის.

– ისევ წინა შეკითხვას დაგვბრუნდები: თუ მაშინ გაძლევდნენ მუშაობის უფლებას, ახლა რატომაა წინააღმდეგობა?

– როგორც გითხარით, 2018 წელს, სამხარაულის ექსპერტების ბიუროდან მოყვანილმა ექსპერტმა დადო დასკვნა, რომ შენობა ავარიულია და ესაჭიროება გამაგრება. მოგესხენებათ, ყოველ 6 წელიწადში, ავტორიზაცია უნდა გავიაროთ და რაკი დასკვნაში ასეთი ჩანაწერი ნახეს, არ მოგვცეს ავტორიზაცია. საბედნიეროდ, დაგვეხმარა მეგობარი – სეუ-ს რექტორი გიორგი კავთელიშვილი, რომელმაც ავლაბარში, თავის ახალ შენობაში, სამი სართული დაგვითმო და 6-წლიანი ხელშეკრულება გავვიფორმა, რომ ავტორიზაცია გაგვევლო, რაც შეეძე-





სკოლა პანდემიის პირისპირ

სკოლის უპირატესი მოვალეობა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაა

პირველი ოქტომბრიდან თბილისში, რუსთავეში, ქუთაისსა და ზუგდიდის სკოლებში სწავლა, პირველიდან მეექვსე კლასების ჩათვლით, საკლასო ოთახებში დაიწყო. განათლების მინისტრის განცხადებით, მშობლების სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა, შვილებმა სწავლა დისტანციურად გააგრძელონ, სასწავლო პროცესს სკოლა უზრუნველყოფს.

საინტერესოა, რამდენად მოსწავლეებში აირჩია დისტანციური რეჟიმის სწავლა, რატომ აირჩიეს სწავლების ეს ფორმა და რას ასახელებენ მიზეზად. როგორ დაკომპლექტდება დისტანციური კლასები, აუნაზღაურდებათ თუ არა მოსწავლეებს დამატებით ჩატარებული დისტანციური გაკვეთილების საათები – ამ და სხვა შეკითხვებით იმ ოთხი ქალაქის სკოლების დირექტორებს მივმართეთ, სადაც სასწავლო პროცესი პირველი ოქტომბრიდან განაგრძდა.



მიხეილ გომრეძეძე ქუთაისის №30 საჯარო სკოლის დირექტორი:

დისტანციური სწავლების რეჟიმზე, 1 ოქტომბრის მონაცემებით, სკოლაში 18 განაცხადია დარეგისტრირებული, თუმცა რაოდენობა შეიძლება ყოველდღიურად შეიცვალოს და ვფიქრობთ, კლდებისკენაც კი წავიდეს. მოტივად მშობლები, ძირითადად, კოვიდინფექციისადმი შიშს ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა 95% სკოლაში დადის და უპირატესობას საკლასო ოთახებში მიღებულ განათლებას ანიჭებს. I-VI კლასებში, იმ მოსწავლეებს, რომლებმაც დისტანციური სწავლება აირჩიეს და მეორე ცვლაში არიან, გაკვეთილები დილით – 12-დან 14სთ-მდე – უტარდებათ, პირველი ცვლის პირველკლასელებს კი – 13-დან 15სთ-მდე. 18 განაცხადიდან, მხოლოდ 3-ია პირველკლასელთა მშობლებისგან, დანარჩენი III-V კლასებიდანაა.

დისტანციური სწავლება საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მიმდინარეობს. მასწავლებლები გაკვეთილს, დამატებით, ონლაინ, 30წთ-ის ხანგრძლივობით ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სკოლაში, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად, შესაძლებელია გაკვეთილის ონლაინ რეჟიმში ჩატარება (სკოლა სათანადო ტექნიკით სრულადაა აღჭურვილი), მაინც, ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, მასწავლებელთან პირისპირ და დისტანციურად გაკვეთილების განმხორციელებას და ცალკე-ცალკე ჩატარებას ვირჩევთ. ჩვენ ყველანაირი გამოწვევისთვის მზად ვართ და სწავლების სწორედ იმ მეთოდს გამოვიყენებთ, რომელიც მოსწავლისთვის იქნება მოსახერხებელი. თუმცა, პარალელური სწავლებისკენ უფრო ვიხრებით (ონლაინ სწავლება და ფიზიკური სწავლების ერთობლიობა), რადგან ეს, ფინანსურად, ნაკლები დანახარჯიდან სკოლისთვის და, რა თქმა უნდა, დისტანციურად მყოფი მოსწავლეც საგაკვეთილო პროცესში გაცილებით სრულყოფილად იგრძნობს თავს, ვიდრე ინდივიდუალურად.

რაც შეეხება მასწავლებლის ანაზღაურებას, ბუნებრივია, საგაკვეთილო პროცესის პარალელურ რეჟიმში ჩატარების დროს, პედაგოგს დამატებითი ანაზღაურება არ მიეცემა. თუკი, მათ დამატებით მოუწევთ ონლაინ გაკვეთილების ჩატარება, მზად ვართ, მათთვის გავცეთ ანაზღაურება.

მურად ჯიჟარაძე ქუთაისის №2 საჯარო სკოლის დირექტორი:

2 ოქტომბრის მონაცემებით, სკოლაში, თავდაპირველად, 5 განაცხადი შემოვიდა, აქედან ერთი უკან გაიწვია მშობელმა და, ამ ეტაპზე, დანებდა კლასებში, დისტანციური სწავლების მსურველი 4 მოსწავლე გვყავს. ორი მეოთხეკლასელი, პარალელურ რეჟიმში, ერთგვარ საგაკვეთილო პროცესში, დანარჩენ ორს კი – გაკვეთილები დილის საათებში ინდივიდუალურად უტარდებათ.

მზია კინგარაძე რუსთავეის №23 საჯარო სკოლა:

28 სექტემბრის მონაცემებით, დისტანციური სწავლებაში ჩართვასთან დაკავშირებით, სკოლაში არავის მოუმართავს. თუმცა, ამ ეტაპზე, ვმსჯელობთ და განვიხილავთ სხვადასხვა ალტერნატიულ გზებს, როგორ განხორციელდეს დისტანციური სწავლის მსურველთა ჩართვა საგაკვეთილო პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ონლაინ სწავლების მოთხოვნით მოგვმართავს განცხადებით, სკოლა, კლასების მიხედვით, დააჯგუფებს ონლაინ სწავლების მსურველ მოსწავლეებს, შეადგენს ონლაინ გაკვეთილების ცხრილს და საგნის მასწავლებლები, მათი საგაკვეთილო განრიგის გათვალისწინებით, ჩატარებენ აღნიშნულ გაკვეთილებს, ვინაიდან სკოლის უპირატესი მოვალეობა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაა. ქრონიკული დაავადების მქონე მოსწავლეების მშობლებს, ვთხოვთ, მოარიდონ შვილები საკლასო სივრცეს, მათ დისტანციურად მოვემსახურებით.

მამუკა ხაზინაძე რუსთავეის №4 საჯარო სკოლის დირექტორი:

ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს დასაზუსტებელი, მასწავლებლებთან ერთად ვმსჯელობთ და განვიხილავთ ამ საკითხს. საგაკვეთილო პროცესის დროს დისტანციურად მყოფ მოსწავლეს, ტექნიკურად, რა თქმა უნდა, ჩართვის შესაძლებლობა ექნება, მაგრამ რამდენად გამართლებული იქნება პარალელური სწავლების ასეთი მეთოდი, ეს ცალკე საკითხი და ცალკე მსჯელობის თემაა. მოგვხსენებათ, გაკვეთილის ვირტუალურად და საკლასო ოთახში ჩატარება სხვადასხვა პროცესია და არ მგონია, ასეთი მეთოდი გამართლებული იყოს. ამ ეტაპზე, რამდენიმე განაცხადია შემოსული. თუმცა, დეტალებს ჯერ ისევ განვიხილავთ. მონაცემების მოგროვების შემდეგ გვეცოდინება ტექნიკური საკითხები, თუ რა მეთოდით წარმართება სასწავლო პროცესი ონლაინ სწავლების მსურველთათვის.

ლიანა ფუტყარაძე თბილისის №133 საჯარო სკოლის დირექტორი:

ვინაიდან ჩვენი სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“, საშუალება გვქვია, ყველანაირი გამოწვევისთვის ვიყოთ მზად. 2 ოქტომბრისთვის, სკოლაში, 52 განაცხადი შემოვიდა – ყველა კლასიდან 3-4 მოსწავლის მშობელი ითხოვს შვილის დისტანციურ სწავლებაში ჩართვას, მიზეზად ვირუსის შიში სახელდება. ამ ეტაპზე, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები დისტანციურად, პარალელურ რეჟიმში, არიან ჩართული. თუმცა, უახლოეს დღეებში, კლასებში დაეკომპლექტება და დისტანციური სწავლება გაკვეთილების შემდეგ წარმართება.

შორენა ლუღუშაური თბილისის №61 საჯარო სკოლის დირექტორი:

განაცხადების მიხედვით, მშობლები დისტანციურ სწავლებას, ძირითადად, შიშის გამო ირჩევენ, ზოგი ქალაქიდან არის გასული, გვყავს ბათუმში მყოფი მოსწავლეები, რომლებიც თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებენ. ამ ეტაპზე, მასწავლებლები გაკვეთილების შემდეგ უტარებენ მოსწავლეებს გაკვეთილებს. ვმუშაობთ კლასების შექმნაზე, სადაც სხვა მასწავლებელი ჩაატარებს გაკვეთილს. დარეგისტრირებულია 173 განაცხადი, თუმცა აქედან 50 მოსწავლე, სავარაუდოდ, გააუქმებს რეგისტრაციას, ვინაიდან ისინი დღეს სკოლაში მოვიდნენ და საგაკვეთილო პროცესს საკლასო ოთახში ესწრებიან. სიტუაციიდან გამომდინარე, რასაკვირველია, მონაცემები შესაძლებელია ყოველდღიურად შეიცვალოს.

ნათუნა ნაბიჩიძე თბილისის №179 საჯარო სკოლის დირექტორი:

დისტანციურად სწავლის მსურველები, მეორე და მეოთხე კლასებიდან, თითო-თითო ბავშვი გვყავს. სამწუხაროდ, აქედან ერთს კორონავირუსი დაუდასტურდა და სათანადო მკურნალობას ამჟამად სახლის პირობებში ვაძლევს. მესამე კლასის 23-ივე მოსწავლის მშობელმა გამოთქვა სურვილი, პანდემიის პირობებში საშობრების თავიდან არიდების მიზნით, მათმა შვილებმა დისტანციურად გააგრძელონ სწავლა. სავარაუდოდ, მონაცემები შესაძლოა შეიცვალოს.

მანანა კიკაჩივიძე თბილისის №72 საჯარო სკოლის დირექტორი:

28 სექტემბრისთვის კლასის დამრიგებლებისგან უკვე გვქონდა ინფორმაცია თუ რამდენ მოსწავლეს სურდა დისტანციურ პროცესში ჩართვა. მინდა ვითხრა, რომ ამ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობა, პარალელურად, ვერ მოხერხდება, რადგან სკოლაში სათანადო ტექნიკით აღჭურვილი მხოლოდ რამდენიმე კლასია. 2 ოქტომბრის მონაცემებით, 15 განაცხადია შემოსული, I-VI კლასების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლებაში ჩართვას, ძირითადად, ქრონიკული დაავადებების მქონე მოსწავლეები და შესაბამისად, მათი მშობლები

ითხოვენ. აქედან სამი მშობელი შიშის ფაქტორს ასახელებს. რაც შეეხება სწავლებას, მასწავლებლებს დამატებით დატვირთვა მიეცემა და, გაკვეთილების შემდეგ, ამ მოსწავლეებს ონლაინ გაკვეთილებს ჩაუტარებენ, შესაბამისად, დამატებით ანაზღაურებასაც მიიღებენ. თუმცა, ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ გასარკვევია, შესათანხმებელი და დასალაგებელი.

გიორგი ბარსიძე თბილისის №154 საჯარო სკოლის დირექტორი:

2 ოქტომბრის მონაცემებით, სკოლაში არც ერთი განაცხადი არ შემოსულა. ასე რომ, დღეს მდგომარეობით, I-VI კლასებში მოსწავლეთა სრული დასწრებაა.

ირმა ჩარტია თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორი:

ვინაიდან ჩვენი სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“, დისტანციური სწავლების მსურველებისთვის ყველანაირი პირობის შექმნა შეგვიძლია. თუმცა, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც დისტანციური სწავლება აირჩიეს, ასეთი სულ 33-ია, სპეციალურად შედგა ცხრილი და პედაგოგები განსაზღვრულ დროში უტარებენ გაკვეთილს.

ნინო ბულია ზუგდიდის №2 საჯარო სკოლის დირექტორი:

„ჩვენს სკოლაში 1280 მოსწავლეა. დისტანციურ სწავლებაზე განაცხადი 12 მოსწავლის მშობელმა გააკეთა, მიზეზი ვირუსისადმი შიშია. ჩვენთან დისტანციური სწავლება, თიშის პლატფორმით, წარმატებულად მიმდინარეობს. განვიხილავთ სწავლების რამდენიმე ვარიანტს. დისტანციური სასწავლო პროცესი საგაკვეთილო პროცესის პარალელურ რეჟიმში ვერ წარმართება, რადგან სკოლა სათანადო ტექნიკით აღჭურვილი არ არის. მოსწავლეებისთვის დისტანციური სწავლება გაკვეთილების შემდეგ წარმართება. რამდენიმე დღეში საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული და, რაც მთავარია, არც ერთი მოსწავლე სასწავლო პროცესის მიღმა არ დარჩება.

ნანა ხიფაშვილი თბილისის №77 საჯარო სკოლის დირექტორი:

დისტანციური სწავლების მსურველთა მშობლები ინფორმაციას, თავიდან, მეილის საშუალებით გვანვლიდნენ. მაგალითად, ერთი მშობელი ითხოვდა, მის შვილს დისტანციურად ესწავლა, რადგან ხელი ჰქონდა მოტეხილი; მეორე მშობელმა, რომელსაც არ აქვს ბავშვის სკოლაში ტარების საშუალება, მოგვმართა თხოვნით, მიეცეთ უფლება, მისი შვილი ბებიასთან (რომელიც ვერ გადაადგილდება) ერთად ჩართოს საგაკვეთილო პროცესში. 2 ოქტომბრის მონაცემებით, 30 განაცხადი დარეგისტრირდა. ჩვენს სკოლას აქვს იმის საშუალება, როგორც პირისპირ, ისე ონლაინ, პარალელურ რეჟიმში, ჩატარდეს გაკვეთილები. თუ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა მოიყრის თავს, მაშინ პარალელური კლასიდან გამოვყოფთ მასწავლებელს, რომელიც დისტანციურად გაუძღვება სწავლებას, დანარჩენი მასწავლებლები კი – პირისპირ. ვფიქრობ, დისტანციური სწავლების მსურველი სკოლაში ძალიან ცოტა გვეყოლება.

დომონტი მჭედია ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის დირექტორი:

2 ოქტომბრის მონაცემებით, ჩვენს სკოლაში დისტანციური სწავლის მსურველთა 136 განაცხადი დარეგისტრირდა, I-VI კლასებიდან. კლასის დამრიგებლები, მშობლებთან სატელეფონო გასაუბრებისას, ძირითადად, ვირუსისადმი შიშს ასახელებენ. ამ ეტაპზე, ვმუშაობთ ონლაინ გაკვეთილების ცხრილზე და, უახლოეს დღეებში, გვეცოდინება რა პრინციპით ჩატარებთ გაკვეთილებს.





სკოლაში პანდემიის დროს

მომდინარე, მათი მხარდაჭერა თითოეული სკოლის პრიორიტეტი უნდა იყოს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა საჭიროებები აქვთ მასწავლებლებს, მაგ., ციფრული კომპეტენციის ნაკლებობა, ტექნოლოგიებისა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, ემოციური მხარდაჭერის საჭიროება თუ სხვ. ეს შესაძლოა გაკეთდეს როგორც შეხვედრების დროს, უშუალო კომუნიკაციისას, ასევე მარტივი გამოკითხვებისა თუ სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

ამის შემდეგ, იდენტიფიცირებული მიმართულებებით, შესაძლებელია კონკრეტული აქტივობების განხორციელება. რადგან დისტანციური განათლება და შერეული/ჰიბრიდული მოდელების გამოყენება სისტემურ მომზადებასა და მასზე ეტაპობრივად გადასვლას მოითხოვს, ამიტომ სკოლების უმრავლესობაში საჭირო იქნება მასწავლებლების მხარდაჭერა როგორც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების, ასევე ონლაინ პედაგოგიკის მიმართულებით.

ასეთი მასწავლებლების არარსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სკოლამ მიმართოს პარტნიორ სკოლებს, სამინისტროსა თუ მასწავლებლის სახლის წარმომადგენლებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებს, განათლების სპეციალისტებს, რომლებიც მზად იქნებიან, აღნიშნული მიმართულებით, სკოლას მოხალისეობრივად დაუჭირონ მხარი.

გეგმვა და ჩართულობა

რადგან საგანგებო ვითარებაში წარმართულმა სასწავლო

პროცესმა კიდევ უფრო თვალნათელი გახადა მოსწავლეთა განათლებასა და სკოლის მხარდაჭერაში მშობელთა და თემის მონაწილეობის აუცილებლობა, გზამკვლევი უნდა აღემატებოდეს მშობელთა ჩართულობის ხარისხის ზრდაზეც მახვილდება და ურჩევნია სკოლებს, მშობელთა და თემის ჩართულობის მიმართულებით, თანმიმდევრული ღონისძიებები განახორციელონ – ინფორმირება ახალი რეგულაციების შესახებ, კერძო ინიციატივების წახალისებისა და მხარდაჭერის მიღების მიზნით, სკოლის წინაშე არსებული პრობლემებისა და საჭიროებების აღწერა და გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის.

ეფექტიანი და სისტემატიზებული კომუნიკაციისათვის კი, უმჯობესია, მკაფიოდ განისაზღვროს კონკრეტული დრო და პერიოდი, როდესაც სკოლა, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, მიაწვდის ინფორმაციას მშობლებს. ასევე, მნიშვნელოვანია მშობელთა საჭიროებების, ინტერესებისა და განწყობის პერიოდული კვლევა. ამის გარდა, მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის, შესაძლებელია, სტანდარტიზებული კითხვარების გამოყენებაც.

მშობელთა ჩართულობის ხარისხის ზრდასთან ერთად, გზამკვლევი საზღვარსაღარა მათი ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობაც.

➔ მშობლებს განსაკუთრებული შფოთვა ახასიათებთ შვილის სკოლაში პირველად წასვლისას. ამ დროს, მშობელმა არ იცის, როგორ შეეგუება ბავშვი მასწავლებელს, სასწავლო პროცესს, თანატოლებს, გაართმევს თუ არა თავს სასწავლო პროგრამას და ა.შ. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული

მდგომარეობის გამო, აღნიშნულ სტრესულ საკითხებს ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება ემატება. მშობელი იმაზეც შფოთავს, თუ რამდენად არის დაცული მისი შვილი სკოლაში ფიზიკურად და ემოციურად. შესაბამისად, თითოეულ მშობელს, რომლის შვილიც ახალი სასწავლო წლისთვის ემზადება, გარკვეული მხარდაჭერა სჭირდება, რათა წინასწარ გაეცნოს რიგ საკითხებს, შეიქმნას სათანადო მოლოდინი სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და მზაობა პანდემიის გამო შექმნილი უჩვეულო წესებისა და რეგულაციების ფარგლებში ფუნქციონირების მხრივ.



გზამკვლევი ეყრდნობა, 2020-2021 სასწავლო წლისათვის არსებულ, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების, შეფასებებისა და საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს. მოცემული საკითხები სარეკომენდაციო ხასიათისაა და სკოლებისთვის მათი გათვალისწინება, ნაწილობრივ ან მთლიანად, ნებაყოფლობითია. სკოლებს შეუძლიათ, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში სწავლების ეფექტიანად წარმართვის სტრატეგიები დამოუკიდებლად შეიმუშაონ და განახორციელონ. მოცემული დოკუმენტი მხოლოდ სწავლის დანებისათვის ხელშემწყობი რეკომენდაციების ერთობლიობას არ წარმოადგენს, რჩევების უმრავლესობის გამოყენება შესაძლებელია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

მოამზადა ლალი ჯალაძემ

ბიუჯეტი – 2021

შესვლილი დაპირება – 150-ის ნაცვლად 100 ლარი 2021 წლის ბიუჯეტში ასახული მასწავლებლის სახელფასო ზრდა

ლალი ჯალაძემ

1 ოქტომბერს, პარლამენტში, 2021 წლის ბიუჯეტის პირველადი ვერსია შევიდა, რომლის მიხედვით, 32 005.6 მლნ ლარიდან უდიდესი ნაწილი, კერძოდ, 25 078.7 მლნ ლარი სახელმწიფო საგარეო ვალი იქნება, ხოლო 6 926.9 მლნ ლარი – საშინაო ვალი.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის განცხადებით, მთავრობამ მოინონა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, თუმცა, ეს პირველადი ვერსიაა და, რა თქმა უნდა, მოხდება მისი მნიშვნელოვანი გადამუშავება. „მოგესხენებათ, Covid 19-ის პანდემიის გამო, გაურკვეველობა, ჯერჯერობით, ძალიან ბევრია. თუმცა, კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, ჩვენ ბიუჯეტი პარლამენტში უკვე წარვადგინეთ. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ეკონომიკურ პარამეტრებს: 2020 წელს, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი იქნება 4.9%, თუმცა, 2021 წელს უკვე დაეუბრუნდებით 5%-იანი ზრდის ნიშნულს. რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს, ვვარაუდობთ, რომ წლის ბოლომდე 4%-ზე ნაკლები იქნება, ხოლო მომავალ წელს – 3%-იან მიზნობრივ ინფლაციასთან ახლოს. რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, 2021 წელს, ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 5,1% გექნება“ – აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

მისივე განმარტებით, 2021 წლის ბიუჯეტის პირველადი ვერსიაში ის ვალდებულებებია ასახული, რაც სახელმწიფოს აქვს აღებული, კერძოდ: „ბიუჯეტში გათვალისწინებულია, ექსპორტის ინდექსისა და დაკავშირებით, საკანონმდებლო ინიციატივა, გათვალისწინებულია, ასევე, სკოლებში მასწავლებელთა ხელფასების ზრდა 100 ლარით. საბავშვო ბაღებში, სადაც მიმდინარე წელს გაიზარდა ხელფასები, სრული დაფინანსება 2021 წლის განმავლობაში მოხდება. 2021 წელს ასევე სრულად დაფინანსდება პოლიციელებისა და ჯარისკაცების მიმდინარე წელს გაზრდილი ხელფასები“.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ბიუჯეტის შეფასებისას, იმ დანაპირების შესახებაც ისაუბრა, რომელიც ახალ ბიუჯეტში შეიცვალა. კერძოდ, პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას განცხადებით, პედაგოგებისთვის ხელფასი, წლის ბოლომდე, 150 ლარით უნდა გაზრდილიყო. ამ დანაპირების სისრულეში მოყვანის შესახებ საუბრობდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, რომელიც აცხადებდა, რომ მასწავლებლებისთვის ხელფასების ზრდა არსებული გეგმის მიხედვით გაგრძელდებოდა და ისინი 150 ლარით გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებდნენ. ჯერჯერობით, იმის შესახებ, თუ რატომ შეიცვალა მომავალი წლის ბიუჯეტში დანაპირები, რატომ გადაუხვია მთავრობამ და სამინისტრომ გეგმას, განმარტება არავის გაუკეთებია. შევითყვეთ მხოლოდ ის, რომ 2021 წელს მასწავლებლებს ხელფასები, დაგეგმილი 150 ლარის ნაცვლად, 100 ლარით გაეზრდება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ბიუჯეტის პროექტის შეფასებისას, აღნიშნა, რომ პირველად ვერსიაში, პანდემიის წინააღმდეგ მიმართული ხარჯები ჯერჯერობით, არ არის ასახული: „პანდემიის წინააღმდეგ ღონისძიებების წინააღმდეგ, ჯერჯერობით, ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის – არც ჯანდაცვის და არც სოციალური და ეკონომიკის მხარდაჭერის მიმართულებით, ვინაიდან ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია გაურკვეველობა. ვფიქრობთ, ოქტომბრის თვე და ნოემბრის შუა პერიოდში მოგვცემს იმის ანალიზის საფუძველს, თუ რა უნდა გავითვალისწინოთ 2021 წლის ბიუჯეტში და საბოლოო ვარიანტში ეს ყველაფერი აისახება. კერძოდ, ჯანდაცვის ნაწილში მნიშვნელოვანი იქნება რა ინფორმაცია იარსე-

ბებს ვაქცინაზე. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ვაქცინის შეძენის თუ ისე ტესტირებასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაძლოა ორივე მათგანი იქნეს გათვალისწინებული. ასევე, ძალიან ბევრი რამაა ამოკიდებული იმაზე, როგორ იქნება ეკონომიკური მოლოდინები მსოფლიო მასშტაბით. ოქტომბერში ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წლიურ შეხვედრაში, სადაც გამოქვეყნება მსოფლიო ეკონომიკის განახლებული პროგნოზები. სწორედ ამის მიხედვით, გვექნება უფრო სწორი ანალიზისა და სწორი დაგეგმვის საფუძველი იმასთან დაკავშირებით, რა ტიპის დახმარება დასჭირდება ეკონომიკას. რა უნდა გააკეთოს ბიუჯეტმა – უფრო სწრაფ აღდგენაში უნდა დაეხმაროს ეკონომიკას თუ გავრძელებს მხარდაჭერის მიმართულებით ღონისძიებებს. ასევე, სოციალური კუთხით, ჩვენ ვნახავთ თუ რა საჭიროებები დადგება, ბუნებრივია, ის პაკეტი, რაც წელს გვექონდა, ყველა ვერ გავრძელებდა, თუმცა ეფექტურობიდან გამომდინარე, ზოგიერთ მათგანზე შესაძლოა კიდევ მივიღოთ გავრძელების გადაწყვეტილება. ამას გვიჩვენებს მსჯელობა, ანალიზი, თუ რა პროცესები შეიძლება წა-



რიმართოს 2021 წლის განმავლობაში და იმის მიხედვით მოხდება ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის ფორმირება,“ – განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

რაც შეეხება განათლების სამინისტროს დაფინანსებას, მომავალი წლის ბიუჯეტში 1 738.1მლნ ლარი განისაზღვრა, რაც 2020 წლის დამტკიცებულ ასიგნებაზე 199.2მლნ ლარით მეტია.

ბიუჯეტის მიხედვით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აღნიშნულ თანხებს შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე დახარჯავს:

- ➔ სკოლამდელი და ზოგადი განათლება – 1 007.5მლნ ლარი, რაც წინა წლის დამტკიცებულ ასიგნებასთან შედარებით გაზრდილია 100.7მლნ ლარით; მათ შორის გათვალისწინებულია:
  - ✓ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება – 880.0მლნ ლარი, რაც 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 92.0მლნ ლარით და გათვალისწინებულია სტატუსის მქონე მასწავლებლების სახელფასო დანამატის ზრდა 100 ლარით, 2021 წლის იანვრიდან;
  - ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა – 9.3მლნ ლარამდე;
  - ✓ უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა – 18.2მლნ ლარამდე;
  - ✓ წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება – 885.0მლნ ლარი;
  - ✓ განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა – 240.0მლნ ლარი;
  - ✓ მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა – 26.3მლნ ლარი;
  - ✓ საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა – 23.6მლნ ლარამდე;
  - ✓ პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ – 33.0მლნ ლარი და სხვ.;
- ➔ პროფესიული განათლება – 52.5მლნ ლარი;
- ➔ უმაღლესი განათლება – 147.2მლნ ლარი;
- ➔ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა – 65.5მლნ ლარი;
- ➔ ინკლუზიური განათლება – 23.7მლნ ლარი;
- ➔ ინფრასტრუქტურის განვითარება – 125.8მლნ ლარი. მათ შორის:
  - ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება – 54.0მლნ ლარზე მეტი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ ასიგნებებთან ერთად, გათვალისწინებულია 220მლნ ლარამდე);
  - ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება – 18.0მლნ ლარი;
  - ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება – 5.0მლნ ლარი;
  - ✓ კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა – 8.0მლნ ლარი.


გარე დაკვირვება

# ამიაკის ქიმიური თვისებები



## დავით გუშიანი, რომლის მიხედვით ჩავატარებთ გარე დაკვირვების გაკვეთილს

დავით გუშიანი  
თბილისის 128-ე საჯარო სკოლის ქიმიის მენტორი მასწავლებელი



გაკვეთილის გეგმა	
საბანო: ქიმია	კლასი: მე-10
თემა: ამიაკის ქიმიური თვისებები	დრო: 45 წუთი
<b>მოსწავლეთა პროფილი:</b> მოსწავლეთა რაოდენობა – 35 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კლასში არ არის	
<b>გაკვეთილის მიზანი:</b> ამიაკის ქიმიური თვისებების გაცნობა. მოსწავლე შეძლებს ამიაკის ქიმიურ თვისებებზე მსჯელობას, დაწერს შესაბამისი რეაქციის ტოლობებს, დააკავშირებს ქიმიურ თვისებებს მის გამოყენებასთან. ამ საკითხებზე მსჯელობის დროს გამოიყენებს წინმსწრებ თემებში მიღებულ ცოდნას.	
<b>ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი ქიმ X-12.</b> მოსწავლეს შეუძლია ქიმიური ელემენტების ნაერთების დახასიათება, მათი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა.	
<b>საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:</b> ცოდნა: <ul style="list-style-type: none"> <li>კოვალენტური ბმის დამყარების დონორ-აქცეპტორული მექანიზმი.</li> <li>ჟანგვის რიცხვის განსაზღვრა ნაერთებში.</li> <li>ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების გათანაბრება ელექტრონული ბალანსით</li> <li>ნაერთების მჟანგვა და აღდგენი უნარის დადგენა, ჟანგვის რიცხვის მიხედვით.</li> </ul> უნარები: <ul style="list-style-type: none"> <li>ინფორმაციის მოძიება და ანალიზი.</li> <li>ექსპერიმენტზე დაკვირვება და დასკვნის გამოტანა.</li> <li>ამოცანის ამოხსნის ალგორითმი.</li> </ul>	
<b>სასწავლო მასალა და რესურსები:</b> სახელმძღვანელო, ისტ-ის გამოყენება: Google Chrome. <b>რეაქტივები:</b> ამონიუმის ტუტის და მარილმჟავას კონც. ხსნარები. ფენოლფტალეინი. <b>ხელსაწყოები:</b> სინჯარები, მინის წკირი, ქიმიური ჭიქა, შტატივი, პიპეტები. <b>აქტივობა 1 (10წთ).</b> საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ წინმსწრები ცოდნის აქტივიზება მთელ კლასთან. <b>აქტივობის მიზანი:</b> წინარე ცოდნის გააქტიურება, ცოდნის და ცოდნის ტრანსფერის უნარების გამოყენების შეფასება. <b>აქტივობის აღწერა:</b> მოსწავლეები წერენ ამიაკის სტრუქტურულ და ელექტრონულ ფორმულებს, მსჯელობენ ამიაკის მიღების ლაბორატორიულ და სამრეწველო მიღების მე-	

თოდებზე.ლე-შატელიეს პრინციპიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ ნონასწორობის გადახრის პირობებს, როგორ გაიზრდება ამიაკის გამოსავალი. წერენ შესაბამის რეაქციათა ტოლობებს.

**საკვლევი კითხვა, პრობლემის განსაზღვრა:** როგორ ცვლით, არამეტალეების წყალბადნაერთების წყალხსნარები მჟავებია. როგორი ბუნება აქვს ამიაკის წყალხსნარს? როგორ დაავადებინოთ მისი ბუნება?

**აქტივობა 2 (20წთ).** ექსპერიმენტზე დაკვირვება, ანალიზი, დასკვნის გამოტანა.

**აქტივობის მიზანი:** ექსპერიმენტზე დაკვირვების, ანალიზის, დასკვნის გამოტანის უნარების განვითარება.

**ცდა 1:** ამიაკის წყალხსნარს ვამატებ ინდიკატორს. ინდიკატორის შეფერილობიდან გამომდინარე, დაადგენენ, რომ ამიაკის წყალხსნარს აქვს ფუძე ბუნება.

**მტკიცებულებაზე (ექსპერიმენტზე) დაფუძნებული არაუმენტირებული მსჯელობა.**

**აქტივობის მიზანი:** ლოგიკური აზროვნების განვითარება. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, გამოსახონ HCl და NH<sub>3</sub> წყალთან მოქმედების სქემები. დამხმარე კითხვებით მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, HCl მჟავა ბუნებას, NH<sub>3</sub> ფუძე ბუნებას განაპირობებს იონის მუხტი და რადიუსი და აზოტის თავისუფალი ელექტრონული წყვილი. აკეთებენ დასკვნას: ამიაკის ფუძე ბუნებას განაპირობებს აზოტის თავისუფალი ელექტრონული წყვილით პროტონის მიტაცების უნარი. წერენ: წყალთან ამიაკის მოქმედების რეაქციის ტოლობებს.

**ცდა 2:** ამიაკის მოქმედება მარილმჟავასთან. წინასწარ გამოზადებული მათვე კოლბაში მცირე რაოდენობით ამიაკის და მარილმჟავას კონცენტრირებული ხსნარები. ერთმანეთთან მიახლოებისას წარმოიქმნება თეთრი ბოლი. აკვირდებიან ამიაკის მარილმჟავასთან რეაქციას, აღწერენ ექსპერიმენტს და ანალიზის შედეგად ასკვნავენ, რომ ამიაკი მოქმედებს მჟავებთან, წერენ შესაბამის ტოლობებს. შემდეგ ვაწვდი ინფორმაციას ამიაკის წვის პირობების შესახებ. გამოსახავენ ამიაკის ჟანგვის ტოლობებს სხვადასხვა პირობებში. მსჯელობენ ამიაკის აღმდგენ თვისებებზე, წერენ და ათანაბრებენ რეაქციებს ელექტრონული ბალანსით.

**რეზუმე (15წთ).** წყვილებს ეძლევა დავალება

**მოიფიქრეთ:** როგორ დააშორებთ ამიაკის და ჟანგბადის ნარევს?

**ამოცანა:** რა მასის ამონიუმის ნიტრატი მიიღება 3,4გ ამიაკის მოქმედებით აზოტმჟავასთან?

**საშინაო დავალება:** ცოდნის განმტკიცების, მიღებული ცოდნის გამოყენების მიზნით, მოსწავლეები დაამუშავებენ თეორიულ მასალას, შეასრულებენ პარაგრაფის ბოლოს მოცემულ სავარჯიშოებს.

**შეფასება:** განმსაზღვრელი, განმავითარებელი.

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	1-3	4-5	6-7	8-10
<b>მოსწავლე:</b> 1) მსჯელობს ამიაკის აღნაგობაზე, წერს ელექტრონულ და გრაფიკულ ფორმულას, მსჯელობს ამიაკის მიღების ლაბორატორიულ და სამრეწველო მეთოდებზე, იყენებს მსჯელობის პროცესში ლე-შატელიეს პრინციპს. წერს შესაბამის რეაქციის ტოლობებს. 2) შეუძლია დასვას საკვლევი შეკითხვა: რატომ არის ამიაკის წყალხსნარი ფუძე ბუნების? მონაცემთა ანალიზი, ინტერპრეტაცია: შეუძლია იმსჯელოს და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე, ახსნას ამიაკის ფუძე ბუნების მიზეზები.	<b>მოსწავლე:</b> 1) ვერ მსჯელობს ამიაკის აღნაგობაზე, ვერ წერს ელექტრონულ და გრაფიკულ ფორმულას, ვერ წერს ამიაკის მიღების მეთოდების შესაბამის ტოლობებს. 2) არ შეუძლია დასვას საკვლევი შეკითხვა: რატომ არის ამიაკის წყალხსნარი ფუძე ბუნების? მონაცემთა ანალიზი, ინტერპრეტაცია: არ შეუძლია იმსჯელოს და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე, ახსნას ამიაკის ფუძე ბუნების მიზეზები.	<b>მოსწავლე:</b> 1) ხარვეზებით მსჯელობს ამიაკის აღნაგობაზე, შეცდომებს უშვებს ელექტრონული და გრაფიკული ფორმულების დაწერისას, ხარვეზებით წერს ამიაკის მიღების მეთოდების შესაბამის ტოლობებს. 2) მასწავლებლის დახმარებით, ახერხებს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას და მსჯელობას.	<b>მოსწავლე:</b> 1) მცირე ხარვეზებით მსჯელობს ამიაკის აღნაგობაზე, წერს მიღების შესაბამის ტოლობებს, უჭირს ნონასწორობის გადახრის პირობებზე მსჯელობა. 2) მცირე ხარვეზებით შეუძლია: დასვას საკვლევი შეკითხვა, მონაცემთა ანალიზი, ინტერპრეტაცია: მცირე ხარვეზებით მსჯელობს ამიაკის მიღების ხერხებზე.	<b>მოსწავლე:</b> 1) უშეცდომოდ მსჯელობს ამიაკის აღნაგობაზე, მისი მიღების მეთოდებზე. უშეცდომოდ წერს ელექტრონულ და გრაფიკულ ფორმულას, ამიაკის მიღების რეაქციების ტოლობებს. აკვირდება ექსპერიმენტს, აკეთებს დასკვნებს. 2) უშეცდომოდ შეუძლია: დასვას საკვლევი შეკითხვა – რატომ არის ამიაკის წყალხსნარი ფუძე ბუნების, როცა სხვა არამეტალეების წყალხსნარები მჟავებია? მონაცემთა ანალიზი, ინტერპრეტაცია: შეუძლია იმსჯელოს და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე, ახსნას ამიაკის ფუძე ბუნების მიზეზები.

- ✓ სკოლებში, სადაც სასწავლო პროცესი დისტანციურად წარმართება, მასწავლებლებს ონლაინ რეჟიმში დააკვირდებიან, ხოლო სადაც სწავლა პირისპირ შენარჩუნდება – საკლასო ოთახებში.
- ✓ გაკვეთილი, ორივე შემთხვევაში, ერთნაირად დაიგეგმება – ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანთა მიმართებით.
- ✓ ონლაინ დაკვირვებისას ტექნიკური ხარვეზის პრობლემა მასწავლებლის შეფასებაზე არ აისახება.
- ✓ პროცესი მთელი სემესტრის განმავლობაში გაგრძელდება და მასწავლებელს, რომელიც წარმატებით გაივლის გარე დაკვირვების რუბრიკას, სემესტრის ბოლოს, წამყვანის სტატუსი მიენიჭება.



ნიმუ კაპერსკის გამოცდილებიდან

თბილისის მე-200 საჯარო სკოლის ინტეგრირებული ნიმუ კაპერსკი გვიზიარებს საკუთარ გამოცდილებას და საუბრობს სსსმ მოსწავლეებთან მიმართებაში, ამათუ იმ ვითარებაში, მოქმედების თანმიმდევრული გეგმის აუცილებლობაზე, რომელიც მასწავლებელმა, მშობელმა და სპეციალისტმა ბავშვებთან ერთად უნდა ჩამოაყალიბონ, რადგან უპირველესი სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებაა. მისი აზრით, ბავშვის გაღიზიანებისას, სწორედ წინასწარ შემუშავებული მოქმედების თანმიმდევრული გეგმა გაბრუნებთ მნიშვნელოვან დახმარებას. პრობლემური ქცევის ან სწავლის სირთულეების დროს კი, ბავშვის მხარდასაჭერად სამი ძირითადი პირობა უნდა გაითვალისწინოთ: შეცვალეთ მოთხოვნები და მოლოდინები; შეცვალეთ ბავშვთან ურთიერთობის ფორმა; შესაძლებელია საჭირო გამოცდილება. „როდესაც ბავშვი ავლენს პრობლემურ ქცევას ან უჩვეულებას სირთულეები სწავლის დროს, თქვენ ხართ ის, ვინც უნდა განახორციელოთ საჭირო ცვლილებები და არა ბავშვმა“ – ამბობს ნიმუ კაპერსკი.



იქონიეთ მოქმედების თანმიმდევრული გეგმა

ბავშვის გაღიზიანებისას, წინასწარ შემუშავებული მოქმედების თანმიმდევრული გეგმა გააინტეგრირებთ მნიშვნელოვან დახმარებას. გახსოვდეთ, რომ როდესაც სტრესის შედეგად გამოყოფილი ქიმიური ნივთიერებების რაოდენობის დონე მატულობს, ბავშვი იწყებს აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარის დაკარგვას. ასეთ დროს, უმჯობესია, გქონდეთ ინტერვენციის ჩამოყალიბებული წესი, რომელიც ბავშვისთვის იქნება ნაცნობი და უსაფრთხო. გაღიზიანებისას, ბავშვისთვის, იმის ცოდნა, თუ როგორი რეაგირება ექნებათ მის გარემომცვე ადამიანებს, უქმნის მეტი ნდობისა და უსაფრთხოების განცდას. აღნიშნული გეგმის გადახედვა და პრაქტიკაში გამოყენება უნდა ხდებოდეს რეგულარულად და უნდა იყოს წინასწარ განხილული, რეალური საფრთხის დადგომამდე. მაგალითად: „სანამ ჩვენ ვართ სკოლის ეზოში, შესაძლოა ხმაურმა და გარემომცვე გეგმაში გააღიზიანონ როდესაც დაგეგმვა ალერგია, შეგვიძლია შევისვენოთ და ავიდეთ საკლასო ოთახში დასამშვიდებლად. შემდეგ, შეგვიძლია გადავწყვიტოთ, დაგვრუნდეთ ეზოში, თუ დავრჩეთ ოთახში.“ იმის ცოდნა, თუ რა შეიძლება მოხდეს და როგორ უნ-

და მოექცეს, ამცირებს ბავშვის მღერვარებას.

მოქმედების თანმიმდევრული გეგმის გამოყენება

- 1. როგორც კი, შეამჩნევთ ადრეულ ნიშნებს, იმოქმედეთ სწრაფად ბავშვის მხარდასაჭერად. ეს უნდა ითვალისწინებდეს წინასწარ განსაზღვრულ მოქმედებებს, მაგალითად: გაყვანა და იზოლაცია, მუსიკა, ღრმა სუნთქვა, ფიზიკური აქტივობა, დათვლა და ა.შ.
2. მშობლებმა, მასწავლებლებმა, სპეციალისტებმა და ბავშვმა ერთად უნდა ჩამოაყალიბოთ მოქმედების თანმიმდევრული გეგმა. ბავშვის ჩართვა მის შემუშავებაში მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებელია. მიეცით მას საშუალება თავად განსაზღვროს ტექნიკები, რომლებიც თავს აგრძობინებს უსაფრთხოდ და მშვიდად. მის განხორციელებაში ჩართეთ ბავშვთან მომუშავე პირები, რადგან უმჯობესია, თუ ყველა იმოქმედებთ ერთნაირად.
3. ივარჯიშეთ მშვიდად ყოფნის დროს და, თუ შესაძლებელია,

გამოიყენეთ როლური თამაშები. განსაზღვრული მოქმედება გამოიყენეთ პრაქტიკაში, იქამდე სანამ გადაიზრდება ჩვევაში. ამგვარად ბავშვი, იმ მომენტისთვის, იქნება მისი გამოყენების მზადყოფნაში. გახსოვდეთ, გაღიზიანებისას, ახალი ტექნიკის სწავლებას, რაიმე დაუგეგმავის განხორციელება ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად რთული ფორმით გამოვიღოთ გაღიზიანება, იმ ვითარებაში, ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, თუ რა წარმართა გეგმის მიხედვით და ბავშვი, როგორ შეეცადა მის განხორციელებას. 4. მოქმედების გეგმა გამოიყენეთ რაც შეიძლება თანმიმდევრულად. ბავშვს უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ ჩვენ ვიმოქმედებთ გეგმის მიხედვით. ამ დროს, ნდობა უზომოდ მნიშვნელოვანია. 5. ღონისძიებებზე წასვლამდე გადახედეთ განსაზღვრულ მოქმედებას. მაგალითად: „ერთად გავიდეთ სასაფრთხო, როდესაც თავს იგრძნობ გაღიზიანებულად.“ ამ გზით ბავშვის გონება შეინარჩუნებს სიმშვიდეს, როდესაც იცის რას უნდა ელოდოს და რა უნდა გააკეთოს.

პირველ რიგში, შეცვალეთ პირობები

ძალიან მაცდურია ბავშვის დადანიშნულება, როდესაც ავლენს არასასურველ ქცევას ან არ შეიმჩნება მოსალოდნელი წინსვლა. ასეთ დროს, თავდაპირველი განზრახვაა, ფიქრი, ბავშვის შეცვლის, რათა იგი მოერგოს ჩვენ მოლოდინებს, ნაცვლად ჩვენი მოლოდინების შეცვლისა, რომ მოერგოს ბავშვს. ეს შეიძლება ძალიან საზიანო აღმოჩნდეს ბავშვისთვის, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მათ არ აქვთ ამ ცვლილებებისათვის საჭირო შესაძლებლობები ან არ აქვთ განვითარებული შესაბამისი უნარ-ჩვევები. ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, მიიჩნით, რომ ბავშვი აკეთებს მასობრივად, რაც შეუძლია, არსებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე. თუ ბავშვი იქცევა არასათანადოდ ან ვერ აკმაყოფილებს ჩვენ მოლოდინებს, ხშირად, ამის მიზეზი არის ის, რომ ვითარების მოთხოვნები აღემატება მის ამჟამინდელ შესაძლებლობებს, რომ გაუმკლავდეს მათ. გაითვალისწინეთ, რომ უმჯობესია მოახდინოთ მოლოდინებისა და მოთხოვნების გადაფასება, ბავშვის არსებული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. ასევე, შეამცირეთ მოთხოვნები (მოლოდინები), უზრუნველყავით, კიდევ, უფრო მეტი მხარდაჭერა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ან გამოიყენეთ ორივე მათგანის ერთობლიობა. ბავშვი ბევრად მეტს ისწავლის და განვითარდება, როდესაც მოთხოვნები შესაბამისობაში იქნება მის არსებულ შესაძლებლობებთან.

ბის შესაცვლელად, ბავშვის ფიზიკური, სენსორული, კოგნიტიური, სოციალური და ემოციური სფეროების გათვალისწინებით. ბავშვისთვის, მნიშვნელოვანია გარემო პირობებისა და დაავლებებთან დაკავშირებული მოთხოვნების ცვლილება. უპირველეს ყოვლისა, დააკვირდით ფიზიკურ გარემოს, რომელშიც იმყოფება ბავშვი (საკლასო ოთახი, სასადილო, სპორტული დარბაზი, მუსიკის ოთახი და ა.შ.). არის ის გადატვირთული სენსორული გამაღიზიანებლებით? არსებობს სენსორული გამაღიზიანებლების შემადგენელი საშუალებები, როგორცაა სავარძელი, ხმაურის დამხმობი ყურსასმენი, სათვალე და სხვა? მის გვერდით მჯდომი ბავშვები, მეტისმეტად ახლოს სხედან? თუ ბავშვს აქვს სენსორული მოთხოვნილებები, სთხოვეთ, ოკუპაციური თერაპევტს გაგიწიოთ რეკომენდაცია, საკლასო ოთახის ცვლილების შესახებ, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მისი ნერვული სისტემის სიმშვიდე და ორგანიზებულიობა. მეორე მხრივ, არის თუ არა, ბავშვისთვის, შესასრულებელი დავალებების რაოდენობა ბევრი, რთული ან არასწორად წარმოდგენილი? შესაძლებელია თუ არა აქტივობის შემცირება, დანაწევრება ან უფრო ვიზუალურად წარმოდგენა? სკოლის სრული დღის განმავლობაში, შეუძლია თუ არა ბავშვს გაუმკლავდეს მიმდინარე მოთხოვნებს?

მშვიდი, მხიარული და ილუსტრირებულად ჩვენება და ა.შ.) რეაგირებს? იღებს იგი ჩემ მხარდაჭერას? ბავშვი ჩემთან თავს გრძობს უსაფრთხოდ, აღიარებულად და უნარინად?“ იმისათვის, რომ ბავშვი იყოს წარმატებული, უნდა მოძებნოთ სწორი მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლაში. თუ ბავშვი თქვენი მიდგომით არის შენუხებული, ბუნებრივია, იგი შეეცდება თქვენი მითითებების თავიდან აცილებას. ქცევის მრავალი პრობლემა პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ როგორ ხდება ბავშვთან ურთიერთობა.

შესაძლებელია საჭირო გამოცდილება

მას შემდეგ, რაც შეამცირებთ მოთხოვნებს, უზრუნველყოფთ საჭირო მხარდაჭერას და შეცვლით ურთიერთობის სტილს, ყურადღება გაამახვილოთ ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომლებიც ბავშვს დაეხმარება მოთხოვნებთან გამკლავებაში. თუ ბავშვს პრობლემები აქვს საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართებით, მაშინ უნდა განუვითაროთ უკეთესი სოციალური უნარ-ჩვევები. თუ მას უჭირს ემოციების გაკონტროლება, მაშინ საჭიროა გამკლავების სტრატეგიების სწავლება. ამ გზით, ბავშვს შესძენთ საჭირო გამოცდილებას გარემოსთან, დავალებებთან და ინსტრუქციებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დაიწყეთ მარტივად, დაამუშავეთ ნელ-ნელა, უზრუნველყავით მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში და განუვითარეთ წარმატებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. როდესაც ბავშვი ავლენს პრობლემურ ქცევას ან უჩვეულებას სირთულეების სწავლის დროს, თქვენ ხართ ის, ვინც უნდა განახორციელოთ საჭირო ცვლილებები და არა ბავშვმა. ამ გზით, თითოეული თქვენგანი იქნებით წარმატებული და თავს იგრძნობთ კომპეტენტურად, იმის მიმართებით, რასაც აკეთებთ.

შეცვალეთ მოთხოვნები და მოლოდინები



თბილისის ბალები ახალი რეგულაციებით მუშაობისთვის მზადაა

თბილისის საბავშვო ბაგა-ბალები ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი რეგულაციებით მუშაობისთვის მზადაა. ამის შესახებ ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა, კახაბერ გვანცელაძემ განაცხადა: „რეგულაციების დამტკიცებისთანავე, მათი აღსრულებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება დაიწყეთ, რაც მოითხოვდა როგორც გარკვეული ინვენტარის შესყიდვას, ასევე, პერსონალის გადამზადებას. საკმაოდ მოკლე დროში აღ-

ვჭურვეთ და მოვანყვეთ ბალები დადგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, რის შემდეგაც, თითოეული დაწესებულება ჯანდაცვის სამინისტროს შრომითმა ინსპექციამ დეტალურად შეამოწმა. შეიძლება ითქვას, რომ თბილისის საჯარო ბალები აღსაზრდელების მისაღებად მზადაა.“ სააგენტოში აცხადებენ, რომ ბალებში მოსამზადებელი სამუშაოები დასრულდა, ეზოში მინიშნებები და დეზობარიერები განთავსდა, მოეწყო დაყოფებისა და საიზოლაციო სივრცეები, მომზადდა აღსაზრდელთა მიღება-გაშვების გრაფიკი და სხვ. საძინებელ ოთახებში სანოლები ახალი რეგულაციების მიხედვით განთავსდა, რომ არ მოხდეს სახით კონტაქტი. ასევე, ბალების სააგენტოში შეიძინა მეთოდური მასალები, რომლებიც თითოეული ბავშვისთვის განკუთვნილ ინდივიდუალურ ჩანთაშია მოთავსებული. ყველა სააღმზრდელო ჯგუფში განისაზღვრა სივრცეები სხვადასხვა აქტივობისთვის, რათა ბავშვთა მცირე ჯგუფების დისტანცირება მოხდეს. შრომის უსაფრთხოების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი ბექა ფერაძე აცხადებს, რომ უკვე შემოწმებული 700-მდე საბავშვო ბალიდან, 625-ის მიმართ გაიცა დადებითი დასკვნა: „დღეის მდგომარეობით, შემოწმება განხორციელდა 700-მდე საბავშვო ბალებში, საიდანაც 625-ის მიმართ უკვე გაი-

ცა დადებითი დასკვნა. დანარჩენს მცირეოდენი ხარვეზი აღინიშნებოდა, რის გამოც მათ დამატებით განესაზღვრათ გონივრული ვადა, რა პერიოდშიც მათ უნდა აღმოფხვრან ეს დარღვევები. შემოწმების პროცესი ყოველდღიურ რეჟიმში გრძელდება და 12 ოქტომბრამდე იქნება დასრულებული.“ შეგახსენებთ, რომ თბილისის საბავშვო ბალებში სააღმზრდელო წლის დაწყება 12 ოქტომბერს იგეგმება.





VII-XII კლასებში სასწავლო პროცესი, 29 დეკემბრამდე, სრულად ელექტრონული ფორმით წარიმართება



2020 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, სასწავლო პროცესი დისტანციური სწავლების პირობებში მოდელის გამოყენებით განხორციელდება - I-VI კლასების მოსწავლეებისთვის დასწრებით სწავლების ფორმით, ხოლო VII-XII კლასების მოსწავლეებისთვის - სრულად ელექტრონული ფორმით.

დისტანციური სწავლების პირობებში მოდელი „2020-2021 სასწავლო წელს ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, ფოთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის №820596 ბრძანებაში შესული ცვლილების საფუძველზე განისაზღვრა. კერძოდ:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2020-2021 სასწავლო წელს ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, ფოთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებენ ქალაქებში - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი, სასწავლო პროცესი 2020 წლის 01 ოქტომბრიდან 2020 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, წარმართონ დისტანციური სწავლების პირობებში მოდელის გამოყენებით - I-VI კლასის მოსწავლეებისთვის დასწრებით სწავლების ფორმით, ხოლო VII-XII კლასების მოსწავლეებისთვის სრულად ელექტრონული ფორმით;“ გ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11, 12, 13 და 14 პუნქტები:

„11. ამ ბრძანების პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება: ა) სსიპ ქალაქ თბილისის №69, №143, №154, №174, №2, №76, №145, №157, №168, №172, №179, სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 და სსიპ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლებზე - 2020 წლის 01 ოქტომბრიდან 2020 წლის 05 ოქტომბრამდე, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის №26 საჯარო სკოლაზე - 2020 წლის 01 ოქტომბრიდან 2020 წლის 07 ოქტომბრამდე; ბ) სსიპ ქალაქ ქუთაისის №24 საჯარო სკოლაზე - 2020 წლის 01 ოქტომბრიდან 2020 წლის 05 ოქტომბრამდე, სსიპ ქალაქ ქუთაისის №16 საჯარო სკოლაზე - 2020 წლის 01 ოქტომბრიდან 2020 წლის 15 ოქტომბრამდე, სსიპ ქალაქ ქუთაისის №11 საჯარო სკოლაზე - 2020 წლის 01 ოქტომბრიდან 2020 წლის 20 ოქტომბრამდე; გ) სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლაზე - 2020 წლის 01 ოქტომბრიდან 2020 წლის 12 ოქტომბრამდე, ხოლო სსიპ ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლაზე, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №1 საჯარო სკოლაზე, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლაზე, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ნემის საჯარო სკოლაზე - 2020 წლის 4 ოქტომბრამდე;

12. ამ ბრძანების 11 პუნქტით გათვალისწინებულმა სკოლებმა, ამ ბრძანების 11 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში, სასწავლო პროცესი განახორციელონ დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით;

13. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებენ ქალაქებში - გორში და ფოთში, სასწავლო პროცესი 2020 წლის პირველი ოქტომბრიდან განაგრძონ არადისტანციურ რეჟიმში;

14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი 2020 წლის 01 ოქტომბრიდან წარიმართოს

დისტანციურ რეჟიმში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებამდე“.

საერთაშორისო კონფერენცია ბავშვთა უფლებების თემაზე

საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში ბავშვთა უფლებების ინტეგრირების საკითხს მიეძღვნა გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით გამართული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც დისტანციურად მიიღო მონაწილეობა ეკატერინე დგეგუაძემ, განათლების მინისტრის მოადგილემ.

კონფერენციაში, რომელიც ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა, ასევე, მონაწილეობდნენ: ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით ნამყვანი ექსპერტები, დიპლომატები, მთავრობის წარმომადგენლები, პროფესორები, სტუდენტები, სახალხო დამცველის ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მხარეებმა ერთმანეთს ბავშვთა უფლებების მიმართულებით მიღებული ბავშვთაშორის და ადგილობრივი გამოცდილება გაუზიარეს და, ამ კუთხით, პროფესიონალი კადრების მომზადების ხელშეწყობის გზები განიხილეს.

ეკატერინე დგეგუაძემ მადლობა გადაუხადა UNICEF-ს საქართველოს განათლების სისტემისა და, ზოგადად, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებაში გაწეული მხარდაჭერისთვის, მრავალწლიანი თანამშრომლობისთვის და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში ბავშვთა უფლებების ინტეგრირების მნიშვნელობაზე ისაუბრა:

„განათლების სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პასუხისმგებელ სისტემას, ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების ყოველდღიურ პრაქტიკაში გატარების საქმეში. განათლების ინკლუზიური სისტემის შექმნა, მის ყველა საფეხურზე, ჩვენი სამინისტროს უმთავრესი სტრატეგიული პირობითი და რეფორმების საფუძველია. ამ მიზნის მიღწევა პროფესორული და კომპლექსური მიდგომის გზით არის შესაძლებელი.“

ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული განათლების სისტემის შექმნის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მომავალი პროფესიონალების მომზადებაა, რომლებიც ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების რეალურ ცხოვრებაში გატარებას შეუწყობენ ხელს. ამ მხრივ კი, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სისტემის როლი.“

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს გაეროს რეზიდენტი კოორდინატორმა, დოქტორმა საბინ მახლიმ და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, დოქტორმა ლასან ხალიმამ.

„ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში პირველი უნივერსიტეტი, სადაც ბავშვთა უფლებების საკითხები ინტეგრირდება პროგრამებსა და კურიკულუმებში, - აღნიშნა ლასან ხალიმა, - ბავშვთა უფლებების შესახებ განათლება მოიაზრებს პრაქტიკული ქმედებების განხორციელებას. ბავშვთა უფლებებსა და ბავშვთა უფლებებზე მორგებული მიდგომის შესახებ ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები და ზრდასრულები განაპირობებენ ცვლილებას მათ უშუალო გარემოში და ზოგადად ქვეყანაში. მიმართა, რომ ქუთაისში ბავშვთა უფლებების თემაზე საერთაშორისო კონფერენციის გამართვა და უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებების ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვთა უფლებების კულტურის გაძლიერებას. გაეროს ბავშვთა ფონდი გააგრძელებს პარტნიორობას აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან და სხვა უნივერსიტეტებთან, საქართველოში ბავშვთა უფლებების შესახებ განათლების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით.“

UNICEF-თან თანამშრომლობის ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი დაარსდება, რომელიც ერთგვარი რესურს-ცენტრი იქნება და ბავშვთა უფლებების მიმართულებით სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, უფლებადამცველების, აკადემიური პერსონალის, მშობლებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

გაეროს ბავშვთა ფონდის პროგრამის მიზანია საქართველოს უნივერსიტეტებში ბავშვთა უფლებების კულტურისა და ადამიანური რესურსების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის ბავშვთა უფლებების კურსების შემუშავება მომავალი მასწავლებლებების, განათლების ადმინისტრატორების, იურისტებისა და სხვა პროფესიის წარმომადგენლების მოსამზადებლად.

პროექტი - „შეფასება განვითარებისათვის“

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 12-16 ოქტომბერს, ჩატარდება საცდელი ტესტირება მე-5 და მე-7 კლასებში გადასული მოსწავლეების ცოდნისა და უნარების შესაფასებლად. მასში მონაწილეობის სურვილი, მთელი საქართველოს მასშტაბით, 300-მდე სკოლაში გამოთქვა. მათგან, ამ ეტაპზე, პილოტირების პროცესში 100-მდე სკოლა ჩაერთვება - საცდელ ტესტირებაში მონაწილეობას 2000-ზე მეტი მოსწავლე მიიღებს.

პროექტი „შეფასება განვითარებისათვის“ მიზნად ისახავს მეოთხეკლასელთა და მეექვსეკლასელთა მიღწევების შეფასებას ქართულსა და მათემატიკაში. პირველ ოთხ კლასში მიღწეული შედეგები მე-5 კლასის დასაწყისში შეფასდება,



პირველი ექვსი კლასის მანძილზე მიღწეული წარმატებები კი - მე-7 კლასელების ტესტირების შედეგად.

დიაგნოსტიკური შეფასება დაეხმარება სკოლებს, შესაბამისად დაგეგმონ ახალი სასწავლო წელი. საცდელი ტესტირების შედეგები ასევე გამოყენებული იქნება ელექტრონული პლატფორმისა და ტესტირების ფორმატის დასახვეწად იმ მიზნით, რომ ის მაქსიმალურად ასახავდეს სკოლის საჭიროებებს.

ტესტირება მთლიანად ელექტრონული პროგრამით ჩატარდება: მოსწავლეები ელექტრონულად შესარულებენ ტესტურ დავალებებს, შეფასების შედეგებს კი, ასევე ელექტრონულად მიიღებენ. შეფასების შედეგები წარმოდგენილი იქნება როგორც თითოეული მოსწავლის დონეზე, ასევე კლასის დონეზეც. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, სახლიდან ან სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიებიდან ჩაერთონ შეფასების პროცესში.

პროექტზე „შეფასება განვითარებისათვის“ მუშაობა 2019 წელს დაიწყო. მისი მიზანია მეოთხე და მეექვსეკლასელი მოსწავლეების მიღწევების შეფასება, სასწავლო წლის ბოლოს, ელექტრონული პლატფორმის დახმარებით. შედეგები დაეხმარება მოსწავლეებსა და მშობლებს, თვალი ადევნონ სასწავლო პროცესის მანძილზე მიღწეულ პროგრესს და მიიღონ ინფორმაცია მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. ეს პროექტი სკოლას შესაძლებლობას მისცემს დააკვირდეს სწავლა-სწავლების ტენდენციებს როგორც ცალკეული კლასის, ასევე, ზოგადად, სკოლის დონეზე. გასათვალისწინებელია, რომ მიღებული ქულები მოსწავლის წლიურ შეფასებაზე არ აისახება.

2020 წლის დასაწყისში ჩატარდა ცალკეული დავალებების აპრობაცია, ახლა კი მიმდინარეობს პროექტის ელექტრონული პლატფორმის გამოცდა.

„ახალგაზრდული მუშაკის“ პროგრამის პრეზენტაცია



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიავილი საქართველოში პირველი, სახელმწიფოსაგან აღიარებული „ახალგაზრდული მუშაკის“ აკრედიტირებული პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო და პროგრამის პირველ მსმენელებს შეხვდა. ლონისძიებში ასევე მონაწილეობდნენ ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელი რეზო ჩარკვიანი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი და საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გუზაზ კობერიძე.

„ახალგაზრდული მუშაკის“ გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამა განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ახალგაზრდობის სააგენტოსა და საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის მიერ, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით მომზადდა.

„ახალგაზრდული მუშაკის“ საქმიანობა გულისხმობს, არაფორმალური განათლების გზით, ახალგაზრდობისთვის ევროკავშირის მიერ აღიარებული საკვალი კომპეტენციების გადაცემას და ასევე იმ უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში დახმარებას, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების სრულფასოვნად მონაწილეობისა და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

ევროპული სტანდარტების შესაბამისი, „ახალგაზრდული მუშაკის“ სასერტიფიკატო პროგრამით, პირველ ეტაპზე, არაფორმალური განათლების მიმდებარე 30 პრაქტიკოსი გადამზადდება. მსმენელები, საქართველოს 9 რეგიონში, ღია კონკურსის გზით შერჩნენ, კურსი 6-თვიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას მოიცავს. პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები საქართველოს 9 რეგიონში არსე-ბულ პროფესიულ კოლეჯებში გაიცლიან. კურსზე ყველა პროფესიული კოლეჯის თითო თანამშრომელია წარმოდგენილი და პროგრამის დასრულების შემდეგ, ისინი საქმიანობას ადგილზე გააგრძელებენ.



# ინფორმაციისა და მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადების გამარჯვებულები



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განათლების სამინისტროში ინფორმაციისა და მათემატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების გამარჯვებულ მოსწავლეებს უმსახვილესად...

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა წარმატებით იასპარეზეს ინფორმაციის (IOI 2020) 32-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე. ნიკოლოზ ბირკაძე და თეიმურაზ თოლორაია ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ, არჩილ ბასაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, ლუკა მუშკუდიანი კი – ბრინჯაოს მედალი.

საქართველო მოსწავლეებმა, ასევე, დიდ წარმატებას მიაღწიეს მათემატიკის 61-ე (IMO 2020) საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე. ოქროს მედლის მფლობელი ნიკოლოზ ბირკაძე გახდა, თეიმურაზ თოლორაიამ და ლუკა მუშკუდიანმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო ანა ონოფრიმვილი და ზაურ ბოკლავაძემ – ბრინჯაოს მედლები. ამასთან, ოლიმპიადის ერთ-ერთმა მონაწილემ, ნიკოლოზ ბირკაძემ, ქართველი ოლიმპიადების მანამდე არსებული საუკეთესო შედეგი გააუმჯობესა – პირად ჩათვლაში IV ადგილზე გავიდა.

მიხეილ ჩხენკელმა მოსწავლეებს წარმატებული ასპარეზობა მიულოცა: „მსურს, მთელი გულით მოვილოცოთ მიღწეული წარმატება! მართალია, უჩვეულო გარემოში მოგიხდათ ასპარეზობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეძელით, თქვენი განსაკუთრებული შესაძლებლობები გამოგვევლინათ მსოფლიო მასშტაბით და გამარჯვება მოგეპოვებინათ. მინდა ამისთვის დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, თქვენს მწვრთნელებსა და ოლიმპიადების ორგანიზატორებს. მგერა, რომ წინ საინტერესო აკადემიური ცხოვრება გელით და თქვენს პროფესიულ განვითარებას დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს“.

მიხეილ ჩხენკელმა მოსწავლეებს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კონცეფცია გააცნო და ამ უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო ცხოვრებაში ჩართვა შესთავაზა. მისი თქმით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის ძალიან დიდი ასპარეზი იქნება.

ინფორმაციისა და მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადები, წელს, პანდემიის გამო, დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა.

2020 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევა, მომზადება და მონაწილეობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით განხორციელდა.

# საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ლიტერატურულ პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას

მწერალთა სახლისა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, საქართველო, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის (14-18 ოქტომბერი) ლიტერატურული პროგრამის ფარგლებში, ორი ღონისძიებით წარდგება.

2020 წელს, COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ღონისძიებების ნაწილი ქალაქის სხვადასხვა ლიტერატურულ, კულტურულ-სახელოვნებო სივრცეში, Bookfest City-ის ფარგლებში, გაიმართება,

ნაწილი კი, Bookfest Digital-ის ფორმატში, ონლაინ სივრცეში გადაინაცვლებს.

15 ოქტომბერს, 20 საათზე (გერმანიის დროით), Bookfest City-ის ფარგლებში, სასტუმრო „Roomers Frankfurt“-ში, ბერლინში მცხოვრები ქართველი მწერალი იუნონა გურული თავის ახალ წიგნს – „Mohnfelder“ წარადგენს, მოდერატორობას მას გერმანელი ლიტერატორი სუზან შმიდტი გაუწევს.

17 ოქტომბერს, 15:20 საათზე (გერმანიის დროით), Bookfest Digital-ის ფორმატში, საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე, ონლაინ რეჟიმში, საქართველოსა და ქართული ლიტერატურის შესახებ ქართველი მწერლების მონაწილეობით გადაღებული მოკლე ფილმის ჩვენება გაიმართება. ფილმში მონაწილეობენ: ზურაბ ქარუმიძე, სალომე ბენიძე, დინა ოვანოვა, დავით გაბუნია და არჩილ ქიქოძე. ეს ფილმი მსოფლიოსთან საუბრის გაგრძელების მცდელობაა, მცდელობა უფრო მეტი ითქვას თბილისზე, საქართველოზე, მის ეთნო-რელიგიურ-კულტურულ მრავალფეროვნებაზე, ომზე, ოკუპაციაზე, ლიტერატურულ ცხოვრებაზე, იმ ადგილებსა და რეგიონებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური თუ ლიტერატურული თვალსაზრისით და რომლებიც საინტერესო შეიძლება იყოს მათთვის, ვინც ახლა უნდა აღმოაჩინოს საქართველო.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, ტრადიციულად, გლობალური საგამომცემლო ინდუსტრიის ჰაბის ფუნქციას იწარჩუნებს და წელს გამომცემლებს უნიკალურ ელექტრონულ პლატფორმას – „International Markets“ – სთავაზობს. აღნიშნული პლატფორმა სხვადასხვა ქვეყნის საგამომცემლო სექტორის ვირტუალურ სივრცეებს აერთიანებს და საგამომცემლო საქმის პროფესიონალებს საშუალებას აძლევს, ერთ სივრცეში გაცნონ ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წიგნის ბაზრის, მათი თავისებურებების შესახებ. დაინტერესებული დამთვალიერებელი, „International Markets“-ის პლატფორმაზე, ქართული წიგნის ბაზრის ვირტუალურ სივრცესაც მიაკვლიებს. საქართველოს წიგნის ბაზრის მიმოხილვა იხილეთ ბმულზე: <http://www.gppa.ge/news/19/>

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში უდიდესი წიგნის ბაზრობაა, რომელშიც, ყოველწლიურად, ათასობით გამომცემელი და ავტორი მონაწილეობს. საქართველო, 2007 წლიდან, ტრადიციულად, ყოველწლიურად მონაწილეობს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და მრავალფეროვანი ლიტერატურული პროგრამით, სადაც ქართველი ავტორებისა და გამომცემლების მონაწილეობით, უცხოელები თარგმანების პოპულარიზაციისა და თარგმანის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა ლიტერატურული ღონისძიება იმართება.

შეგახსენებთ, რომ 2018 წელს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგა და, ლიტერატურული და საგამომცემლო პროგრამის ფარგლებში, არაერთი ღონისძიება მიეძღვნა ქართულ ლიტერატურასა და კულტურას.



# ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართულ-ფრანგული ორლივლომიანი საბაკალავრო პროგრამა ამოქმედდა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ერთობლივი, ქართულ-ფრანგული ორდიპლომიანი პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საფრანგეთის რენ1 უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით დაარსებული ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში ამოქმედდა.

უნივერსიტეტში პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დიეგო კოლასი და ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავიდ ტერტიე.

2020-2021 სასწავლო წელს, პირველად, სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის ქართულ-ფრანგულ ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა 12-მა სტუდენტმა აირჩია, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ ორმაგ – ქართულ-ფრანგულ დიპლომს მიიღებენ. პროგრამაზე სწავლა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, რომელსაც ფრანგ კოლეგებთან ერთად, ქართველი პროფესორ-მასწავლებლები წარმართავენ.



განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა პროგრამის წარდგინებისას აღნიშნა, რომ: „ქართულ-ფრანგული ორდიპლომიანი საბაკალავრო პროგრამის ამოქმედება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ ქართველ სტუდენტებს ორმაგი ხარისხის პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანი ქართულ უნივერსიტეტებში შეეთავაზოთ, რაც საქართველოს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის განუყოფელ ნაწილად აქცევს“.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, სტუ-ს რექტორმა, დავით გურგენიძემ მინისტრს, ელჩსა და მინიველ სტუმრებს ფაკულტეტის სასწავლო ინფრასტრუქტურა, კერძოდ კი, სურსათის უვნებლობის, მიკრობიოლოგიისა და ბიოლოგიის უახლესი ტექნიკა-დანადგარებით აღჭურვილი ლაბორატორიები დაათვალიერებინა, სადაც ქართულ-ფრანგული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან.

2018 წლიდან, ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ფრანგულ მონპელიე „სუპაგროსთან“. თანამშრომლობა ორდიპლომიანი სამაგისტრო პროგრამის – „მელენიგობა და მევენახეობა“ დაწესდა თვალისწინებს. უახლოეს მომავალში სტუ-ში სამაგისტრო პროგრამა – „მევენახეობა და მელენიგობა“ ევროპული ანალიტიკური სამაგისტრო პროგრამის – European Master of Science of Viticulture and Enology – კონსორციუმის წევრი გახდება.

# განათლების სამინისტრო ნაწილაკების ფიზიკის საერთაშორისო საინფორმაციო ჯგუფთან ითანამშრომლებს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ნაწილაკების ფიზიკის საერთაშორისო საინფორმაციო ჯგუფს (IPPOG) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ხელმოწერები მინისტრი მიხეილ ჩხენკელი და IPPOG-ის თავმჯდომარეები – დოქტორი სტივენ გოლდფარბი და პროფესორი პედრო აბრეუ არიან.

ნაწილაკების ფიზიკის საერთაშორისო საინფორმაციო ჯგუფი (IPPOG) წარმოადგენს CERN-ის სასწავლო-საგანმანათლებლო კოლაბორაციას, რომლის მიზანია სამეცნიერო ცხოვრების პოპულარიზაცია და სამეცნიერო აღმოჩენებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ფართო საზოგადოებამდე მიტანა. IPPOG-ის ქსელში ჩართული არიან მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები და კომუნიკაციის სპეციალისტები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მუშაობენ არაფორმალური მეცნიერების სწავლებისა და ნაწილაკების ფიზიკის საკითხებზე.

IPPOG-თან (International Particle Physics Outreach Group) გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას მიეცემა შესაძლებლობა, ჩაერთოს კოლაბორაციის საქმიანობაში.

IPPOG-ის თავის საქმიანობას ახორციელებს CERN-ის, როგორც საერთაშორისო ლაბორატორიის ბაზაზე, ამ ეტაპზე თანამშრომლობს 26 ქვეყანასთან და მუშაობს 6 ექსპერიმენტულ პროექტზე.



# უფროსებო, დადებით ბავშვების ბავშვობის სადარაჯოზე. ნუ ჩააცემთ მათ ხუთი ზომით დიდ ფიქრს

გიორგი კაკელიძე



უფროსებო, დადებით ბავშვების ბავშვობის სადარაჯოზე. ნუ ჩააცემთ მათ ხუთი ზომით დიდ ფიქრს, ათი ზომით დიდ საქმეს, თხუთმეტი ზომით დიდ დარდს. ასე არ შეიძლება, ძალიან არ შეიძლება!

კი, ისევე ბავშვებზე უნდა მოვიყვებო. და საერთოდ – მათზე ხშირად მოვიყვებით. ეს იქნება ჩემი მთავარი მოსათხრობი საქმე.

გუშინ დუშეთიდან ლამის ფასანაურამდე ავუყვები. აქ ისეა, რომ ყოველ მოსახვევზე მცირე საძოვარია, მერე აკლაკნილი გზა და მერე პატარა სოფელი. და ამ საძოვარებზე, აუცილებლად შეგხვდებით ბავშვი მწყემსი, ორმოციოდ ძროხას რომ მოუძღვება, ჯარისკაცის უზარმაზარი საწვიმარი აცვია და ორი ზომით დიდი ქუდი ახურავს. განა ამბავს ვამხატვრულე და ვამძაფრებ – ზუსტი სურათია, ზეპირი. ჰო, კიდევ ერთი დიდი ბოთლი, წყლისთვის და პარკი, სადაც ალბათ რამე წასალუკში უდევს. ყველი. პური. ასეთი ბავშვი გუშინ სამი შემომხვდა. სამივე სხვადასხვა სოფლიდან. სამივე დიდი სევდით და მორცხვი ღიმილით. სამივე საგანგებოდ დავალებით – „თუ ვინმე საეჭვოდ გკითხოს, აუცილებლად უთხარი, რომ ეს ერთხელ გამოხვედი სამწყემსად და მანამდე არ ყოფილხარ“. შენ მაინც კეთილები და ისინი იმეორებენ ამ დავალებას: „აი, ძია, ძალიან იშვიათად ვხვდარები ხოლმე, ძალიან, თუ ავათა არიან“ და წვიმს, წვეთები ქუდიდან სახეზე ეწურებათ, სახე დახრილი აქვთ და მხერავს ქვევით, უკვე შემხმარ ბალახებში მალავენ. მერე მე ვეკითხები სკოლის სახელს, სადამოს ვემბე დირექტორს ან მასწავლებელს და ისინი მიყვებიან, რომ „თედო, რაც სკოლა დაიწყო, კლასში არა ყოფილა. კომპიუტერი? ვინ მისცემს მაგას კომპიუტერს? რომც ანუქოთ, ზედ ვინ დასვათ? ისეთი ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ კვირაში ერთხელ თუ გამოჩნდა, დიდა. მაგ ბავშვსა, ბავშვობა არა ჰქონია, თვალთ არ უნახავს. გული დაგეწვება, გული. მეზობელმა მითხრა, დილით ექვსზე რომ წამოვადებენ, მიჩეჩებენ რაღაცას საგზალივით და წავიდა ძროხაში. ნუ იტყვი, ნუ იტყვი. ხან სახელმწიფოს ხალხი მივიდა, ხან ნათესავი, მაგრამ ბავშვი ისე ჰყავთ დაშინებული, სულ კარგს ამბობს და სულ მათ ქებაშია“ და განა თედოა მხოლოდ ასე, განა მხოლოდ ნიკო ან ზვიადი. ან განა მხოლოდ დუშეთიდან ფასანაურამდე მიდის ეს გზა? ის აჭარიდან იწყება და კახეთის ბოლოს წვდება. ალბათ საზღვარსაც ცდება, მაგრამ მე უფრო ჩვენი ამბავი მაინ-

ტერესებს. და ამ გზაზე დგანან ბავშვები, რომელთაც მშობელმა, ან ბიძა-ბიცოლამ ან ვინმე ნათესავმა, ვისთანაც იზრდება, ადგა და ბავშვობა გამოვლიჯა ხელიდან. ბევრი ოცნება და ცოტა სიზარმაცე, ბევრი თამაში და ცოტა წიგნიც – აი, ასე გამოვლიჯა, ხელში სახრე შეაჩენა და გაუშვა. ამ გზაზე. ეს გზა კი არსად არ მიდის. ის არც ტაძრამდე მიიყვანს ამ ბავშვებს და ასე განსაჯეთ, არც უფსკრულამდე. ეს გზა არის და არც არის. გაყინული გზაა. საზარელი საცობი. ამ გზაზე დგანან ეს ბავშვები. აწვიმთ და იღიმიან. ახლა ის არ მითხრათ, რომ ოჯახს უჭირს. ვიცი და ამბავ ვილაპარაკე. კიდევ ვილაპარაკებ. და კიდევ. სახელმწიფო. საზოგადოება. მაგრამ ამ უბედურების ამ ნაწილზე ვწერ და ცხადად ვიცი, რომ არაფერია იმაზე დიდი დანაშაული, ვიდრე ბავშვისთვის სწავლის უფლების წართმევა და დიდილიც უფლების წართმევა და ცელქობის უფლების წართმევა და კიდევ ბევრი, ბევრი რამის წართმევა. თან ეს წართმევა ისეთია, რომ ვერავინ დაუბრუნებს და ვერც თვითონ. სხვა ოჯახებსაც უჭირთ მათ მეზობლად, იგივე სოფლებში და იგივე ქუჩებზე. მაგრამ იკლებენ და ბავშვს აძლევენ. ჩემებსაც უჭირდათ მაშინ, მაგრამ სკოლაში წასვლის წინ ყოველიც მახვედრებდნენ და გაპრიალებულ ხანთას. თვითონ სხვა რამეს ჭამდნენ. სხვა რამეს იცვამდნენ. განა მე არ ვეხმარებოდი მშობლებს? ვეხმარებოდი და აქ არც სამარცხვინოა რამე. მაგრამ სადაც საქმე სწავლაზე მიდგებოდა, მშობლები უკან დგებოდნენ და წინ მიშვებდნენ. ეგ არის – თუ ახალ სიცოცხლეს ბადებ, საკუთარს უნდა მოაკლო. საგანგებოდ გავეყვი სახლისკენ ამასწინათ ერთ მათგანს, ობოლ ბიჭს და დავინახე სახლის წინ, პატარა აივანზე ტელევიზორი იდგა, დეიდამისი და კიდევ ერთი ქალი რაღაც ბოღვას უმხერდნენ და იცინოდნენ, ბიძა კიდევ ჭიშკრის წინ იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. ვიფიქრე, მივალ, ვეტყვი რამეს, მაგრამ მერე ისიც ვიფიქრე, რომ მე წავალ და ეს მოზარდი იქ დარჩება. და რომ დარჩება, თქვენც ხვდებით, რა დღესაც დააწვევენ.

ჰოდა, იქ ვერ ვთქვი და აქედან გუუბნებით: უფროსებო, დადებით ბავშვების ბავშვობის სადარაჯოზე. ნუ ჩააცემთ მათ ხუთი ზომით დიდ ფიქრს, ათი ზომით დიდ საქმეს, თხუთმეტი ზომით დიდ დარდს. ასე არ შეიძლება, ძალიან არ შეიძლება!

**სამოქალაქო ექსპერტული ცენტრი**

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

**სამოქალაქო ექსპერტული ცენტრი**

6.50 ლარი

11 ლარი

15 ლარი

15 ლარი

8 ლარი

**ნიგნის თარო**

**ტენსტაბი ქართულ ლიტერატურაში**

**ქართული ეროვნული გამოსცდისათვის**

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

**სალომონის თანხა გადმორიცხვით რეკვიზიტები:**  
 მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
 შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:  
 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23